

სამოქალაქო მონაწილეობა და ადგილობრივი განვითარება

შესავალი

დღევანდელი მზარდი გლობალიზაციის პროცესში მთავრობები ყველა დონეზე ახალი გამოწვევების წინაშე დგებიან. ისინი აცნობიერებენ, რომ საკუთარ პოლიტიკას ვერ განახორციელებენ კარგად, თუ მოქალაქეებს არ ესმით და, შესაბამისად, მხარს არ უჭერენ მათ პოლიტიკას. ამიტომ, მთავრობები ცდილობენ მოძებნონ ახალი, გაუმჯობესებული მოდელები და მიდგომები, რომელთა საშუალებით მოქალაქეები უკეთ იქნებიან ინფორმირებული მათი პოლიტიკის შესახებ და ჩაერთვებიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს პროცესი ადგილობრივ თემებსა და საზოგადოებებში - პატარა ჯგუფებსა თუ ორგანიზაციებში - იწყება, განვითარებას პოულობს ადგილობრივ, რეგიონალურ დონეზე და შემდგომ მტკიცდება ქვეყნის, სამთავრობო დონეზე.

დღეს სამოქალაქო მონაწილეობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აქტუალურია ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული მონაწილეობის პრაქტიკაც, რაც გულისხმობს ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებას პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოებისა და გაშლის მიზნით; ეს მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, იურთიერთონ ერთმანეთში და მათ მიერ არჩეულ სამთავრობო წარმომადგენლებთან.

ინფორმაციის გაცვლა და კონსულტაცია სამოქალაქო მონაწილეობის ფორმაა; უფრო აქტიური ფორმაა პარტნიორობა, რომელიც გულისხმობს ძლიერ მოქალაქეობრივ ზეგავლენას საჯარო პოლიტიკებსა და სერვისებზე. არჩეული სამთავრობო პირები, მმართველები და მოქალაქეები ერთად გადამწყვეტ როლს თამაშობენ ადგილობრივი საზოგადოების მართვაში .

პრობლემის დასმა

ადგილობრივი ხელისუფლებები, განსაკუთრებით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ისეთი პრობლემების წინაშე დგანან, როგორებიცაა დეცენტრალიზაცია, ფრაგმენტაცია, სამოქალაქო მონაწილეობის განუვითარებელი მექანიზმები, უმაღლესი განათლების მქონე პროფესიონალთა ნაკლებობა და სხვა. ის ადგილი, სადაც მთავრობასა და მოქალაქეებს, დაინტერესებულ მხარეებსა და პოლიტიკურად არჩეულ გადაწყვეტილების მიმღებებს შორის უშუალო დიალოგი იმართება, არის სწორედ ადგილობრივი საზოგადოების დონე. თუმცა, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ოღონდ, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ პროცესში ზოგჯერ შეუძლებელია კომპრომისის ან კონსენსუსის მიღწევა; საქმე ისაა, რომ მოქალაქეთა მზადყოფნა და მათი ღიაობა სხვათა შეხედულებების მიმართ საკმაოდ განსხვავებულია. საჯარო დიალოგი წარმოადგენს ე.წ. დემოკრატიის სკოლასაც, სადაც მოქალაქეები პრაქტიკული მუშაობით ითვისებენ თავიანთ მოქალაქეობრივ როლებს.

ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში გარდამავალი ეტაპი ხასიათდებოდა ეკონომიკური სიდუხჭირითა და სოციალური პრობლემებით. ამას ზედ ერთვოდა წინა პოლიტიკური რეჟიმის გავლენაც. გასაკვირი არაა, რომ მოსახლეობა დემოკრატიის, სამოქალაქო მონაწილეობისა და აქტიური მოქალაქეობის პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობას განიცდის.

როდესაც ადგილობრივი მთავრობები ცდილობენ არსებული სიტუაციის გაუმჯობესებას ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განახლებისა და საზოგადოებრივი მომსახურებების შეთავაზებით, პროგრამების მომზადების პროცესში ხშირად აუცილებლად მიიჩნევენ ადგილობრივი ექსპერტების დახმარებას, მაგრამ ხშირად ამ უკანასკნელთა შეთავაზებებს ეჭვქვეშ აყენებენ. ექსპერტების ერთი შეთავაზება ისაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად ჩატარდეს კვლევა, მოეწყოს სემინარი, რომელზეც საზოგადოების პრობლემები განიხილება. ადგილობრივ ხელისუფალთა აზრით, ეს დროის ხარჯვაც არის, ძვირიცაა, თანაც ხალხის უმეტესობა არაკომპეტენტურია ამ

ქეთევან მიქაძე, სამეგრელო 2012

საკითხების მოგვარებაში. ამ დამოკიდებულების საწინააღმდეგოდ შემდეგი შეიძლება ითქვას. მოქალაქეები ფლობენ ძალიან ღირებულ ცოდნას იმ საზოგადოების შესახებ, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და საქმიანობენ. ამიტომ მათ აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა პროცესში.

პრობლემის გადაწყვეტის გზები

იმისათვის, რომ მოქალაქეებს საზოგადოებრივ პროცესებში ჩართულობის უფრო მეტი მოტივაცია ჰქონდეთ, მათ უნდა მიეცეთ საშუალება, უფრო აქტიურად ისაუბრონ თავიანთ პრობლემებზე. საამისოდ მათ შეიძლება შექმნან გარკვეული კავშირები, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური ორგანიზაციები, ალიანსი, საზოგადოება და ა.შ. ამ კავშირებში გაერთიანების მთავარი მიზანი უნდა იყოს საზოგადოების საჭირობო საკითხების წინ წამოწევა და ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობით მათი გადაწყვეტის ვარგისი გზების გამონახვა. სამოქალაქო მონაწილეობისათვის დიდი როლი აქვს ინტერნეტს. მისი მეშვეობით, ყველა დონეზე მთავრობას აქვს საშუალება, მოქალაქეები ინფორმირებული ჰყავდეს ძირითადი და აუცილებელი საკითხების შესახებ. ამით მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ხმათა უმრავლესობით თავად გადაწყვიტონ, რომელი საკითხია მათთვის იმ კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტული, რომლის დაფინანსებას დაუჭერონ მხარი, იცოდნენ, რომელი საკითხი დგას დღის წესრიგში, რა სახის პრობლემები აქვს საზოგადოებას და მონაწილეობა მიიღონ ამ პრობლემების გადაწყვეტის პროცესში.

ნამდვილი სამოქალაქო მონაწილეობის წახალისება რომ მოხდეს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა ესმოდეთ ადგილობრივი განვითარებისა და სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ სემინარების სარგებლიანობა. ასეთ სემინარებზე საუკეთესო პრაქტიკები განიხილება. აქ ნათელი ხდება, რომ აქტიური სამოქალაქო მონაწილეობა მაღალი ხარისხის პროგრამისა და მისი წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. რა თქმა უნდა, ნებისმიერი პროგრამა შეიძლება მომზადდეს საზოგადოებასთან კონსულტაციის

ქეთევან მიქაძე, სამეგრელო 2012

გარემოც, მაგრამ მას განხორციელების პროცესში ხშირად დიდი პრობლემებიც ახლავს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ადგილობრივი განვითარებისათვის აუცილებელია მოქალაქეთა ჩართულობა, ანუ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები მოქალაქეებთან ერთად უნდა მოგვარდეს. მათ უნდა აკეთონ საქმე მოსახლეობისათვის, მათთან ერთად და არა - მათ ნაცვლად.

სამოქალაქო მონაწილეობა ადგილობრივ მთავრობებს დაბრკოლებად არ უნდა ექცეს საქმიანობაში; პირიქით, ამ საქმიანობის ნაწილი უნდა გახდეს. სამოქალაქო მონაწილეობა ადგილობრივ საზოგადოებებში ზრდის მთლიანად *სოციალურ კაპიტალსაც* და მათი წევრების მზადყოფნას, იმოქმედონ ერთობლივად ადგილობრივი განვითარებისათვის.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას; ამისათვის საჭიროა:

- აქტიური მოქალაქეების, როგორც ადგილობრივი საზოგადოების მომავალი განვითარებისათვის აუცილებელი ნაწილის, დაფასება;
- სამოქალაქო მონაწილეობის სხვადასხვა სახით (ინდივიდუალური, ჯგუფური) ორგანიზების ხელშეწყობა;
- ადეკვატური ფინანსური მხარდაჭერა;
- მოქალაქეთა უზრუნველყოფა პოლიტიკის განვითარების, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ჩართულობით;
- დემოკრატიული პრინციპების შესაბამისი პროცესების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელთა და პროფესიონალთათვის სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ ტრენინგების უზრუნველყოფა;
- სამოქალაქო მონაწილეობის ახალი ფორმების ძიება და წახალისება.

დასკვნა

როდესაც ადამიანები მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, აუცილებელია, რომ ჯგუფებად ფორმირება მათ პირად ინტერესებზე დაფუძნებით მოხდეს. მოქალაქეთა ჩართულობა უნდა ხორციელდებოდეს არა ერთჯერად კამპანიებში, არამედ მას უნდა ჰქონდეს მუდმივი ხასიათი. ორგანიზაციებისა და ჯგუფების საქმიანობა შედეგიანია იმ შემთხვევაში, თუ მისი წევრები დადებითად არიან განწყობილი ერთმანეთის მიმართ. ისინი პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთის აზრს და შეხედულებებს. გარდა ამისა, პროექტები, რომლებშიც მოქალაქეები ჩაერთვებიან, უნდა იყოს სახალისო, კრეატიული და შემეცნებითი. ერთი ადამიანი ბევრ პროექტში არ უნდა მონაწილეობდეს, რათა მისი შრომისნაყოფიერება არ დაეცეს. ყველა პროექტი ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს დანარჩენი საზოგადოებისათვის.